გადაწყვეტილება

N გ-26-17/311
09/07/2026

311-გ-26-1-4-202607091540

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2026 წლის №30
სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომუნიკაციების კომისია") განიხილა კომისიის 2026 წლის 09 ივლისის №30 სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 12^1 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:
1. გადაიდოს კომუნიკაციების კომისიის 2026 წლის 09 ივლისის №30 სხდომის დღის წესრიგის პროექტის მე-13 საკითხის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებისთვის რადიოსიხშირეების მინიჭების შესახებ) განხილვა 2026 წლის 17 ივლისს, გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე კომუნიკაციების კომისიის წევრთა კვორუმის არარასებობის გამო;
2. დამტკიცდეს კომუნიკაციების კომისიის 2026 წლის 09 ივლისის №30 სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის);
3. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
4. დაევალოს კომუნიკაციების კომისიის ადმინისტრაციას (ზ. გასვიანი) კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე.

ნათია კუკულაძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ანი ვაზაგაშვილი

წევრი

ქეთევან წამებულის გამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144
+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25

ივანე მახარაძე

წევრი